ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა
და კლინიკური იმუნოლოგიის
სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი

INFECTIOUS DISEASES,
AIDS & CLINICAL IMMUNOLOGY
RESEARCH CENTER

თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. 16. ტელ: (995 32) 239-91-43, 239-80-18; ფაქსი: (995 32) 239-91-44; ელ-ფოსტა: aids@aidscenter.ge
16 Al. Kazbegi Ave, 0160 Tbilisi, Georgia. Tel:(995 32) 239-91-43, 239-80-18 ; Fax: (995 32) 239-91-44; E-mail: aids@aidscenter.ge

01-18/876 12 06 2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს
ქ-ნ თ. გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექცია (COVID-19) დღესდღეობით საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) ბოლო ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში სულ დადასტურებულია COVID-19-ის 6 მილიონზე მეტი შემთხვევა, მათგა 400 ათასზე მეტი ავადმყოფი მოკვდა. საქართველოში დღესდღეობით სულ დადასტურებულია COVID-19-ის 822 შემთხვევა და 13 ავადმყოფი გარდაიცვალა.

ა.წ. 24 მარტს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N01-119/ო ბრძანებით დამტკიცებულ იქნა ჩვენს მიერ შემუშავებული „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მართვა“ კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი).

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის COVID-19-ის კლინიკური მართვის განახლებული პროტოკოლის, აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის, აშშ ალერგიისა და ინფექციურ დაავადებათა ნაციონალური ინსტიტუტის და მსოფლიოს წამყვანი სამედიცინო ცენტრების/უნივერსიტეტების გაიდლაინების/პროტოკოლების, აგრეთვე სხვა უახლესი კვლევების შედეგების გათვალისწინებით ჩვენს მიერ მოხდა ზემოთაღნიშნული პროტოკოლის განახლება. პროტოკოლს დაემატა ინტერლეიკინ-6-ის რეცეპტორის საწინააღმდეგო სპეციფიკური მონოკლონური ანტისხეულებით მკურნალობის, ანტიკოაგულაციური თერაპიის, აგრეთვე ინოვაციური სამკურნალო მიდგომების: COVID-19-ით კონვალესცენტის პლაზმით მკურნალობის, პლაზმაფერეზის და ექსტრაკორპორული „სისხლის გაწმენდის“ მეთოდების გამოყენება და სხვ.

პროტოკოლის მიზანს წარმოადგენს ექიმებისთვის, COVID-19-ის და მძიმე მწვავე რესპირაციული ინფექციის, განსაკუთრებით კი მძიმედ მიმდინარე დაავადების მქონე პაციენტების, კლინიკური მართვის ხარისხის გაუმჯობესება დროული, ეფექტიანი და უსაფრთხო რეკომენდაციების მიწოდებით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით სამინისტროს კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და კლინიკური მდგომარეობის მართვის

სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასების და დანერგვის ეროვნულ საბჭოზე განიხილოთ „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მართვის“ პროტოკოლის განახლებული ვერსიის დამტკიცების საკითხი.

პროტოკოლს თან ერთვის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ინფექციურ სნეულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ ელზა ვაშაკიძის და საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის პრეზიდენტის ირინა ქაროსანიძის რეცენზიები.

პატივისცემით,

თ. ცერცვაძე

თენგიზ ცერცვაძე
ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური
იმუნოლოგიის ს/პ ცენტრის გენერალური დირექტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი